ფასი ყველგან 10 კაპ.

მასხარა

№ 2. ოთვლკვირეული კარიკატურებიანი გაზეთი. 17 ივნისი 1907 წ.

მიიღება ხელის მოწერა საპოლიტიკო-სალიტერატურო კარიკატურებიან იუმორისტულ ჟურნალ

„მასხარა“-ზედ

ჟურნალი გამოვა კვირაში ერთხელ

წლიური ხელის მოწერა თვისის ელირება — 5 მან.
თვიურთათვის . . . . . 40 კაპ.
ცალკე ნომერი ღირს ყველგან . . . 10 კაპ.
განცხადება პირველ გვერდზედ პეტიტით ღირს—50 კაპ.
„ „ უკანასკნელზედ—20 კაპ.

პროვინციაში გაზეთები იყიდება შემდეგ პირებთან: **გორში**—წიგნის მაღაზიაში, **არჩვაძე და მაისურაძესთან; ყვირილაში**—„**სორაპნის**“ წიგნის მაღაზიაში; **ჭიათურაში**—**ისაია ცერცვაძესთან; ქუთაისში**—**ისიდორე კვიცარიძესთან; სამტრედიაში** და **ფოთში**—**კოხრეიძეებთან; ბათუმში**—**კალანდაძესთან.**

დროებითი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Сорапань“ для газеты „**Масхара**“.

მელქუმოვი: ჩემო ვირო! ჩემო ცუგრუმელავ! შენ კი გენაცვალე თავიდან-კუდამდე! ჰამე გენაცვალოს ჩემი თავი! ჰამე ჩემო სულიკო, გასუქდი! თივა ქალაქისაა, შენ კი ჩემი ხარ, ჩემო მშვენიერო! გასუქდი, გაღონიერდი, რომ მეტი ნახშირი გადაზიდო სახლში. თივა შენ, ნახშირი კი მე! ქალაქის სამმართველოს კი ჩვენი თავის ტკივილი!

ვირი: (ყროყინით) ფიქრი ნუ გაქვს, ადა! ჩამაყარე, ჩამაყარე!..

მუქთა ხორა!

არც ვთეს, არც ვმკი, არც ვმუშაობ,
არცა მშიან, არც მწყურიან
და საბრალო მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან.

—

სხვა მუშაობს, ოფლს ღვრის ღღე ღამ,
უბედურს კი მაინც შიან
და მე მაძღარს მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან!

—

რომ გახედო ჩემ სასახლეს—
მეფის პალატს მიადრიან,
და საბრალო მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან!

—

ოთხი ბედაური მყავან—
სიმსუქნისგან ყალყზე ხტიან
და მშიერი მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან.

—

მუშა როგორ შემედრება?
მე სულ სხვა ვარ „ვინმე“ მქვიან!
და საბრალო მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან!..

—

ცოლშვილი მყავს ბედნიერი
და მეც მათში მიხარიან,—
ფეხშიშველა მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან.

—

უფროს ვაჟმა წელს მიიღო
„პრისტაობა„ (თუმცა გვიან!)
გამურული მუშები კი
მუქთა ხორას მეძახიან!..

—

ბარიშნა მყავს გასათხოვი—
სულ თავადნი მეძლევიან;
ფეხშიშველი მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან.

—

ქუჩაზედ, რომ გამოვივლი—
„გოროდოვნი“ ქუდს მიხდიან
და საბრალო მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან!

—

„პრისტავი“ და „პომოშნიკი“
როცა მხვდება— ხელს მიწვდიან
და საბრალო მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან!..

—

„კამერჩესკი“ ბანკში შევალ?!
ყველა ფეხზე მიდგებიან;
და მშიერი მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან!..

—

წირვაზედ ვარ?! ტერტერები,—
თითქმის მევე მემთხვევიან;
საცოდავი მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან.

—

ღამით დავალ „ტრიატრებში“
დილით ვდგები ძლიერ გვიან;
ძილგამკრთალი მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან!..

—

ფაბრიკა მაქვს შვიდ ალაგას,
მაღაზიებს ვერც კი სთვლიან
და მშიერი მუშები კი—
მუქთა ხორას მეძახიან!..

—

ეხ! რაც უნდათ დამიძახონ!
მე იმათთვის არ მცალიან,
ვინც კარგათ მცნობს—ისინი ხომ
„გილდის კუპეცს“ მეძახიან.

—

დეე, იბუნტონ! მე რა მერე?
ციხეში თვით ეყრებიან!
და ციხეშიც მე მლანძღავენ
მუქთა ხორას მეძახიან!..

ონიმიმ.

ღმერთი ქვეყნათ.

დიდი ხანია მას შემდეგ
რაც რომ დაარსდა ქვეყანა;
ზეითკენ დარჩა ლურჯი ცა,
მიწა ძირს ჩამოექანა;
ცა შეიმოსა ღრუბლებით,
მზით, მთვარით, ვარსკვლავებითა,
მიწა ათასგვარ ხეხილით,
თვალ გაუწვდენელ მთებითა!
აქ გაჩნდა წყალი-მდინარე,
ზღვები და ოკეანები,
ცხოველი, თევზნი, ფრინველნი,
მწერნი და ქვეწარმავლები;
მათ განაგებდა ადამი
თავის მეუღლე ევათი,—
სასახლეთ ჰქონდათ სამოთხე,
საჭმელათ ბაღის ნობათი.
ამ ქვეყნად ორი არსება
შიშველი იარებოდა
და მათი ჩამომავლობაც—
შიშველი იბადებოდა;
მაგრამ აქ განვლო დიდმა დრომ—
ქვეყანამ ფერი იცვალა
და ძველი სჯული, კანონი
ძირითათ გამოიცვალა.
ნაცვლათ ადამ და ევასი
გაჩნდნენ ჩინ—სერთუკოსნები,
სამოთხის ბაღის მაგიერ,
სრა, სასახლენი, ქოხები!..
გამრავლდა ხალხი და ყველამ
სხვა და სხვა წესი მიიღო,
სხვა და სხვა ენა გამრავლდა,
განქრა რაც ძველათ მიგვეღო!..
გამეფდა ქვეყნათ დაჩაგვრა.
ბატონობა და მონობა;
ბატონი მონის სისხლს სვამდა,
თუ ეს მას მოენდომოდა;
ძმა ძმასა ჰკლავდა, მამა შვილს,—
დედა ჰყიდიდა შვილებსა;
არ იყო არსად დანდობა
და—ძმაზე ლესდა კბილებსა.
ადამიანი აივსო—შურით,
გესლით და მტრობითა
და ცაშიც ღმერთი შეწუხდა,
აივსო ხალხის ცოდვითა.
შეისხა ხორცი კაცისა,
ტანთ ეცვა ძველი მაზარა
და დაკონკილი აქ გაჩნდა,
როგორც კარის კარ მთხოვარა.
მიადგა ერთსა სასახლეს—
შემკულსა ათას ფერათა
დერეფანში ზის ბატონი
მთხოვარს უმზერს ცერათა.
— ბატონო, გამიკითხევი!
შენი ცოლშვილის ლხენასა!
შიმშილით კუჭი მეწვება,
ძლივს ვალასლასებ ენასა
— გასწი, გეეთრე! ტიალო!
საიდან მოეთერია?
მე შენი გასაკითხავი
არ მმართებს არაფერია!
რამდენი დაძრწის თქვენ გვარი—
ყველას, რომ მივსცე ფულები,
შეცა და ჩემი ცოლშვილიც
ვიქნებით დაღუპულები.
თქვენ მოგინდებათ ყველა ის,
რაც ძველათ შემიძენია—
თუ მოტყუებით, თუ სხვა გზით
ქონება შემირჩენია
და შენ კი, მუქთა ყლაპიავ!
მე მთხოვ წყალობას, შველასა?
გასწი, გაეთრე, შე წუწკო,
თორემ ამოგგლეჯ ენასა!..
აქ შედრკა გლახა-საწყალი,
მართლა არ მომცხოს კეტია,
მოშორდა მდიდრის სასახლეს,—
უკან არ მიუხედია.
განვლო მცირე გზა კიდევა—
წალკოტი ნახა კარღია,
შეხედა არვინ არ იყო
და სთქვა: „აქ ძილი კარგია!“
მივიდა ერთ ხის ძირასა—
თავი წამოდო ბალახზე,
თვალთ ცრემლი ჩამოსდიოდა
ამ ქვეყნის ბოროტებაზე.
მიეცა ფიქრებს და ფიქრში
წამს მოუვიდა რულია
და მოსვენებას მიეცა
უფალი დაღალულია!
არ გაუვლია მცირე ხანს
ბოვშვებმა ჩამოირბინეს
და სადაც გლახას ეძინა—
იმ ხისკენ გამოირბინეს.
თვალი შეასწრეს მოხუცსა
და მორთეს წივილ-კივილი:
„აქ ვიღაც შამოთრეულა—
ტანსაცმელ ჩამოგლეჯილი!..
ყვირილზედ გაჩნდა პატრონი
წიხლით შეადგა გლახასა,
„აქ რა გინდოდა წუნკალავ!
როგორ მიბედავ ამასა?!..
ბავშვები დამიწიოკე
მე კი გამიფრთხე ძილია!
რათ გაგითელავს ბალახი,
ან რათ მომპარე ხილია?“
დაურთო კეტი საცოდავს,
სისხლით აუვსო ცხვირპირი;
უფალმა მეტი ვერ შესძლო—
მორთო ხმა მაღლა ტირილი!..
აქ ამ დროს პოლიციელი
გაჩნდა ხიშტიან თოფითა
და გლახა საბრალობელი
მაგრა შებოჭა თოკითა!..
ცემით მიყავდა საბრალო
ამ უბნის ნაწილისაკენ:
გზაზე მნახველნი ჰკითხავდენ:
„მოხუცო, ნეტა შენ რა ქენ?!..“
აქ ბოქაულმა უბძანა

მათრახებისა მოტანა
და საცოდავი მოხუცის
ტანი სულ სისხლით მობანა!
ღონე მიხდილი მოხუცი
განერთხა მის წინ მიწასა
და სთხოვდა შებრალებასა
დამცველსა კანონისასა.
მყის სიბრალულის მაგიერ,
ფეხში სწვდნენ მეკანონენი
და ცივ საკნისკენ ათრევდენ
ჩვენ დროის მოსამართლენი.
სამი დღე ეგდო უფალი
ბნელ და ნესტიან საკანში,
(ცისა და ქვეყნის შემქმნელი
დამწყევდეულ იყო ხაფანგში).
მეოთხე დღესა აახლეს
მოხუცს ორ ორი მცველია
და სამსჯავროში გაგზავნეს,
როგორც კაცისა მკვლელია.
ძლივს ლასლასებდა მოხუცი,
უჭირდა გადგმა ფეხისა;
მაგრამ რა ექნა, რომ ქონდა
ზურგს შიში მათრახებისა?
რა ყოფით იყო მოვიდა
სამსჯავროს სახლის კარამდე,
იქ ალოდინეს საბრალო—
დილიდან დაღამებამდე.
ოდეს ქვეყანას ბინდ-ბუნდის
ზეწარი გადაეფინა,
მსაჯულთა გასცეს ბძანება,
რომ გლახა წარსდგეს მათ წინა.
მოხუცი მსაჯულთ შეყურებს
მეტის მეტ განცვიფრებითა
და ჰფიქრობს: „ნუ თუ ყველა ეს
დაარსდა ჩემი ნებითა?!..
მსაჯულმა შუბლი შეიკრა,
გლახას მიმართა წყენითა:
„გასწორდი წელში, მოხუცო!
ხელი ჩაუშვი ქვევითა!“
შენ გაბრალებენ, რომ არ გაქვს
„პასპორტი“ კანონიერი,
და დაწანწალებ ქურდულათ,—
თუმცაღა კი ხარ ხნიერი.
როგორ გაბედე წალკოტში
შეხვედი გასაქურდათა?
ბალახი გაგითელნია,
ხილს შექცევიხარ მუქთათა!
— არა, ბატონო! მერწმუნე
ხელი არაფერს მიხლია!..
— გაჩუმდი! აქ ბევრს ნუ როტავ
და თავი ნუ აგიგდია!...
ასოცდა ხუთი სტატიით—
რვა წლით ჩაჯდები ციხეში
და ვადის შემდეგ გაგზავნით
რუსეთის ცივსა ქვეყნებში.
— „აღსრულდეს თქვენი ნებაი“!
წაილუღლუღა გლახამა
და მეტის უსამართლობით
გულს აღმოხეთქა ბალღამმა.
შეუკრეს ხელი, ფეხები
რკინის მაგარი ჯაჭვითა
და მიიყვანეს ციხეში
უფალი ამ გვარ სახითა!
შეწუხდა მეტათ ღმერთ-კაცი,—
ვერ შესძლო ესდენ ვაება,
ამ ქვეყნათ განამწარები—
კვლავ ზეცას მიექანება!
წინ მოეგებენ ძე თვისი
და სული წმიდა უფალი,
ჰკითხავენ მოხუც მამასა!
„როგორ მიგიღეს სტუმარი?“
ამოიკვნესა უფალმა,
გადმოსკდა ცრემლი მწარია
და უთხრა: „ქვეყნათ ცხოვრება
ნაღველზე უფრო მწარეა.
მე ეს მაკვირვებს: პირველათ,
როცა ქვეყანა დავბადე,
ყველა—დიდი და პატარა
სულ თანასწორათ გავხადე!
მაგრამ ის რაც კი მე შევქმენ
აღარა სუფევს ქვეყნათა;
მე არვინ აღარ მახსენებს
და სხვა რაღაც სწამთ ღმერთათა!..
ღმერთის მაგიერ გაუდით
„უსტავ,“ „ზაკონი.“ „სტატია!..“
არა, შვილებო! გეფიცვით
ეს მე არ დამიბადია!!..
შერცხვეს ჩემი თმა და წვერი,
თუ მე ის გამეჩინოსა,—
რაც ეხლა ქვეყნათ არსებობს,
ან ხალხმა ჩაიდინოსა.
მე დავაარსე ქვეყანა,
მეკვე დავბადე კაცია;
მაგრამ ჩემ მიერ გაჩენილს
ჩემი არარა აცხია.
ყველგან მესმოდა: „ოხრანა“
„ეოენი პალაკენია“
განა მე ამას შევქნიდი
და ან თუ გასაჩენია?
მაგრამ რას იზავ? მეც მომცხეს
ზურგს ჭრელი მათრახებია;
ვიდაც პრისტავი ყოფილა
ამომამტვრია ყბებია.
მაშინ შემირცხვეს ჭალარა
თუ მასში მედოს წილია,
რომ მთელი ქვეყნის მიდამო
სისხლითა შეღებილია!
ეს სთქვა და გასცა ბრძანება
ცაში არ მოხვდეს პრისტავი
და თუ საითმე შემოძვრა—
ზურგზედ ააძრონ მთლათ ტყავი—
და ეხლა რაც რომ ზეცაში
მსაჯულ სუდია არიან—
სამოთხიდანა რეკავენ,
ჯოჯოხეთს მიუხარიან.

მიმინო.

ბოკაჩიოს ნოველა.

ჯილდო გაუპატიურებისათვის.

მილანში როდესღაც სცხოვრებდა ვილაც ნემეცი, დაქირავებული ჯარის-კაცი —სახელად გულფარდო, კაცი მეტად მამაცი და ერთგული მისი, — ვისთანაც მსახურებდა. ეს გარემოება კი იშვიათი მოვლენაა ნემცებ შორის. რადგანაც ვალს ის კეთილ-სინდისიერად იხდიდა, სულ მცირე სარგებელშიდაც ენდობოდენ მას ვაჭრები იმდენ ფულს, რამდენიც კი ენებებოდა. მილანში ცხოვრების დროს იმას შეუყვარდა ერთი მშვენიერი ქალი, ამბრუოჯიო. იგი იყო ცოლი მდიდარი ვაჭრისა, გასპარაუოლო კაგასტრაჩიოსი. ამის კარგი ნაცნობი იყო გულფარდო და ემეგობრებოდა კიდეც.

თავის სიყვარულს ისეთი მოხერხებით ფარავდა გულფარდო, რომ ვერც ქმარი და ვერც არავინ სხვა ვერ ამჩნევდა. ერთხელ მან შეუთვალა ქალს, რომ მას დაეჯილდოებინა იგი თვისი სიყვარულით. სანაცვლოდ პირდებოდა, რომ რასაც ქალი მოინებებდა, იმას აუსრულებდა. დიდი ხნის მიწერ-მოწერის შემდეგ ქალბატონი შეჰპირდა გულვარდოს საწადელის ასრულებას ორი პირობის დადებით: ერთი პირობა იყო, რომ ეს საქმე დიდ საიდუმლოდ შენახულიყო; მეორეც ის, რომ ფეშქაშად მიერთმია ორასი ოქროს ფლორინი, ვინაიდგანაც ეს ფული მისთვის ფრიად საჭირო იყო და მას კი არაფრად დააკლდებოდა—ის ხომ მდიდარი კაცი იყო! რომ ამის შემდეგ იგი იქნება ყოველ ჟამს მზად გულფარდოს ნების დასაკმაყოფილებლათ. რა გაიგო ამბრუოჯიოს სიხარბე, გულფარდოს გული შემოეყარა მის მდაბალ საქციელზე.—იმას იგი ღირსეული ქალი ეგონა. იმის აღგზნებული სიყვარული თითქმის ზიზღათაც იქცა. ამიტომაც მან

კადეტები მინისტრების პორთველებს ელოდენ, მაგრამ... ბედმა უმტყუნათ!!.



დედა: თვალით არ დამენახო, შე საძაგელო! ათასჯერ მითქვამს შენთვის, რომ ეგ შენი შესაფერი არ არის! არა და არა!!.

ქალი: ვიცი, დედავ! მაგრამ როცა მაგაზე ჯვარს დავიწერ—ჩემ შესაფერსაც მაშინ მოვძებნი!..

განიზრახა ქალისთვის ხრიკი მოედო. გაუგზავნა რწმენით სავსე ბარათი, რომელშიდაც ეწერა, რომ იგი მზადაა, რაც ნებავს, ის აუსრულოს; სთხოვა შეეტყობინებინა, თუ როდის ექნებოდა ნება მასთან მისვლისა. ამასთანავე ატყობინებდა, რომ ორას ოქროს ფლორინსაც მიართმევდა და ვერც არავინ გაიგებდა ამ ამბავს გარეშე ერთ საუკეთესო მეგობრისა, რომელსაც იგი სულითა და გულით ენდობა და რომელიც მას არსად არ დაშორდებოდა. ქალბატონმა გაიხარა და აფრინა მახარობელი, რომ მისი ქმარი გასპაროულო რამოდენიმე დღის მერე გენუაში უნდა წავიდეს და, რაღა თქმა უნდა, მაშინვე აცნობებს მის წასვლას. გულფარდომ დრო იხელთა, მიიკრა გასპაროულოსთან და უთხრა:

— მე განვიზრახე ერთი საქმე, რომლისთვისაც მჭირდება ორასი ოქროს ფლორინი; არ შეგიძლია ძველ პირობებში ახლაც მომასესხო ეს ფულიო?

გასპაროულომ სრული თანხმობა გამოაცხადა და კიდევაც დიდი სიამოვნებით მიასესხა ფული. რამოდენიმე დღის შემდეგ გასპაროულო მართლაც წავიდა გენუაში, როგორც ამას მისი ცოლიც ირწმუნებოდა. მისი წასვლა და გულფარდოს მიწვევაც ერთი იყო. ქალი სთხოვდა, ფულებიც არ დავიწყებოდა.

გულფარდომ წაიყვანა თან თვისი ერთგული მეგობარი და წავიდა სატრფოს სახლში. უწინარეს ყოვლისა მან გარდასცა ქალს ორასი ფლორინი თვისი მეგობრის თანადასწრებით და მოახსენა:

— ქალბატონო! მიირთვით ეს ფული და გადაეცით თქვენს ქმარს, როდესაც დაბრუნდეს შინო! ქალმა აიღო ფული, მაგრამ იმას კი ვერ მიხვდა, თუ რატომ ეუბნებოდა ამას გულფარდო. იმას ეგონა, რომ გულფარდომ ესა სთქვა მეგობრის თვალის ასახვევად.

— დიდი სიამოვნებით გარდავსცემ, მიუგო ქალმა, მხოლოდ უნდა დავთვალოთო.

ქალმა ფულები მაგიდაზე დააწყო, გადათვალა; დარწმუნდა, რომ აქ სწორეთ ორასი ოქროს ფლორინია და გულმა გაუცინა. წაიღო ფული, მიმალა, გამობრუნდა და გულფარდოც გაიყვანა ცალკე ოთახში. არამც თუ ამ ღამეს, მრავალ სხვა ღამეებსაც დაიტკბო გული გულფარდომ ამ ქალის ალერსში—მისი ქმრის უკან მობრუნებამდე. როცა გასპაროულო მობრუნდა, გულაფრდო მყისვე მიიკრა მასთან განგებ იმ დროს, როცა ქმარიც და ცოლიც ერთათ ეგულებოდა და უთხრა ვაჭარს მისი, ცოლის თანადასწრებით:

— ბატონო გასპაროულო! ის ორასი ოქროს ფლორინი, რომელიც თქვენ გამოგართვით, აღარ დამჭირდა. რა საქმისთვისაც მინდოდა, დაიშალა. ამიტომაც თქვენ, როგორც კი წახველით, ის ფული მოვიტანე მე აქ და გარდავეცი თქვენს ცოლს. თუ კაცი ხართ, წაშალეთ თქვენს დავთარში ეგ ჩემი ვალი!

გასპაროულო მიუბრუნდა ცოლს და უთხრა: მიიღო მან, თუ არა ფული. ქალმა იცოდა, რომ აქვე იდგა მოწამე, გულფარდოს მეგობარი, რომელიც ფულის გადაცემის დროსაც აქ დაესწრო, მეტი გზა აღარ იყო, უნდა გამომტყდარიყო და სთქვა:

— რასაკვირველია, მივიღე, მაგრამ გულიდან გადამივარდა და ველარ მოგახსენე თავის დროზეო.

მაშინ მიუბრუნდა გასპაროულო გულფარდოსაც და უთხრა:

— დიდად დიდი მადლობელი ვარ, ჩემო გულფარდო! გულდამშვიდებული ბრძანდებოდეთ: მე არ დავივიწყებ დავთარში თქვენი ვალის ამოშლას!

გულფარდო წავიდა, სირცხვილით დამწვარმა ქალმა ორასი ოქროს ფლორინი გარდასცა თვის ქმარს. ეს იყო ჯილდო მისი გაუპატიურებისა!

ამ რიგად ხრიკიანმა საყვარელმა ახადა ნამუსი ფულზე დახარბებულ დედა-კაცს და გროში საზღაულიც არ მიუქცევია!

კრიჭა.



ხ ო ტ ბ ა.

დიდება ცაზე შავსა ღრუბელსა,
ქვეყანაზე კი შავ კრუშვანსა,
მის თავს გონიერს, ვით დამპალ გოგრას
და ჭკუიანსა, ვითა ქოთანსა!

—

დიდება ცაზე უშნო კამეტას,
ქვეყანაზე კი პურიშკევიჩსა,—
იმის გძელ კუდსა ვით შავი ტურის
და ზედ მიშბულსა ბწყინვალე „ჟესტსა.“

—

ღრუბლებით დახშვა წყეულსა მზესა,
დაპატიმრება დემოკრატებსა,
წყევლა და კრულვა რევოლიუციას
და გამარჯვება შავსა ძალებსა!..

—

დახრჩობ-დახვრეტა სოციალისტებს—
და გამარჯვება ხულიგანებსა;
ეკლის გვირგვინი წყეულ სიმართლეს,
ჩინ ორდენები ტყუილის მთქმელსა!..

—

დაწვა, დაფხრეწა ლახვარის ფურცლებს
მასაზრდოებელს კრამოლისასა;
გაფართოება „კავკაზის“ გვერდებს—
ამადგენლებსა კანონისასა!

—

სიკვდილ-დაკეტვა იმ წყეულ „ბზიკსა,“
რომელიც, რომ ჭკბენს ბოროტებასა
და გაუმარჯოს „გოლოს კავკაზას,“
რომელიც სწამლობს ამ ნაკბენარსა.

ა.—

„პ ა ნ ი კ ა“

(ვორონცოვის ძეგლთან)

— ბრრრ! ბრრრ! ბრრრ! გაისმა უცებ გუშინ წინ თბილისში.

— თქვენი ჭირიმე ეს რა ამბავია, ბიჭო! არიქა საათები გავასწოროთ შუადღე იქნება, და არსენალის გორაზედ ზარბაზანი გააგდეს!

— ეეე! ახმახ! რის ზარბაზანი?! რა ზარბაზანი? ჯერ თერთმეტი საათიც არ არის!

— მაშ რა ოხრობა და ტიალობა იყო; კაცო?!

— რა იყო, შე მუდრეგო და სოლოლოკის ტუნელს ანგრევენ, აქამდის ვერ გაიგე, რომ ბატანიკურ ბაღში კონკა უნდა გაიყვანონ?!

— ეეე, მუდრეგ! მერე და კონკას მაგოდენა ხმა ექნება.

— შე ვირის თავო! კონკას კი არა ტუნელს მეთქი.

— ჰო! ეხლა კი გავიგე!

— რა შავი ქვა გაიგეთ, თქვე ოხრებო! შეყრილხართ ორი ვირისთავი ერთად და ერთი კონკას იძახით, მეორე ზარბაზანს! გუშინ ჩემი ყურით გავიგონე, რომ ხვალ დრაგუნის პოლკის „მანივრები“ იქნებაო; აი აღლუმს, რომ ეძახიან.

— მართლა ეგრე იქნბა აი, კაცო! ალბათ მანევრებია და მამადავითის გორაზე თოფებს ისვრიან.

— **ბრრრ! ბრრრ! ბრრრ!** ჰე! ჰე! ჰე! თქვენი ჭირიმე ბიჭო! როგორ გაუძლო, კაცო, იაპონიის ჯარმა ამ მამაცხონებულ დრაგუნებს?! ერთი შეხედე და! გეგონება ქვეყანა ინგრევაო!

— ხაბარდა! ბერეგის“ ჰეი! ხაბარდა—

— ბიჭო! ერაღა ოხრობაა? აგერ აქეთ ფაიტონი მოაქანებს, შიგ ვიღაცა თავ შეხვეული ზის და გვრდზე გარადავი უზის??

— ტუტუც! თვრალი იქნებოდა, ფაიტონიდან გადმოვარდებოდა და თავვირს ჩაილეწავდა, სხვა რა უნდა იყოს?!

ხაბარდა! „ბერეგის!“ ხაბარდა ეი!

— ბიჭო აქ აღარა ხუმრობენ! თქვე მუდრეგებო! ყველანი ხომ ფაიტონიდან არ გადმოცვივდნენ? კაცო! უეკველათ ბომბები იქნებოდა!

— ვაიმე, ცოლშვილო! ბომბაო?! ეგრე იქნება თქვენი ჭირიმეთ! აგერ მოყავთ ფაიტონით! მშვიდობით, ძმებო! აი ეხლა ჩემი ცოლის საძებნელათ წავალ, ბულვარზე სეირნობდა და ვაიმე თუ ისიც გადამიგორეს!..

— გზა, გზა, გზა! მიშველეთ! მიშველეთ! გამაიქეთ თქვენი ჭირიმე, თორემ სულ ამოგვხოცავენ!

— ვინა, კაცო! რა ამბავია?! რა მოხდა?

— შე გამოჩერჩეტებულო! ბანკი გაცარცვეს, ბანკი! შვიდი მილიონი მოიტაცეს!

— შვიდი მილიონი?! დედავ! დედავ! მერე სად წაიღეს ეს ფული!

— სადა და თქვენსა მოიტანეს!

— რას ამბობ, ეეე, ტუტუც! აქ არ ჩამათოკინო!

— კაცო, არავინ მოკვდა?!

— შე მუდრეგო, შვიდას ოთხმოცდა შვიდი კაზაკი, ხუთას ექვსი გოროდოვი. თექვსმეტი პრისტავი, ას ორმოცდა სამი ოკოლოდოჩნიკი, ოცდა ერთი პრისტავის პომოშნიკი და ვინ იცის კიდე რამდენი სხვა!

— კაცო! ჩვენებიდან? ჩვენებიდან რამდენი მოკვდა?

— ჩვენებიდან—ხუთასი ქალი, ათას ორმოცდა ორი ყმაწვილი და კაცებს ხომ თვლა არა აქვს!

— თქვენი ჭირიმეთ! მიშველეთ ჩემი ცოლი და შვილებიცა ხომ იქ მოყვებოდენ!

არა, კაცო! ეხლა შენი ცოლი შენ დაგეძებდა!

— მშვიდობით! წავალ ჩემს ცოლს მოვსძებნი ვაიმე,ცოლშვილო დაღუპულო!

— დავეტოთ, კაცო, დუქნები, თქვე ოჯახქორებო! ჯარი სუ აქეთ დაიძრა!

— მიეტე საქულ! გეურქ, აალაგე ეგ ოხერი საქონელი!

— აგერ, ბიჭო, მორბიან! არიქა ჩვენც დავიძრათ!

— უკაცრავათ, ჩემი ცოლი ხომ არ გინახავთ!

— რას მიქარავ! შე ოჯახ დანგრეულო?! რა დროს შენი ცოლია? ჩემი ცოლიც ვერ მიპოვნია!

— Милочки, дѣточки! гдѣ Вы?

— Мы здѣсь, мама!

— Слава тебѣ, господи! идемъ скорѣе!

— ცოცხალი ხარ გენაცვალე? ვარ-თანჯან!

— შენ? შენ? სირანუშჯან?!..

ვერა მხედავ?

— შენ კი ბრმა ხარ? ჰა! ყუმბარის ნატეხი, ხომ არ ჩაგერჭო?!..

— წამო თავს შამოგევლე, წამოდი! აგერ, ჯარი აქეთ წამოვიდა!

— აბა ეხლა დაიწყობა, აი ჩხრეკა! მგონი, სახლი და კარი აღარ დაგიყენონ!

— ეჰ, ჯანდაბას ჩვენი თავი, რაც მოგვივა! ღღეს ხომ გადავრჩით?!

— ნეტა ბევრია დახოცილი?

— წავიდეთ, ბიჭო! ბალნიცაში მკვდრები დავთვალოთ!

— ეეე! მუდრეგ, განა ამისთანა ვაჟკაცობის შემდეგ მკვდრები სახსენებელიღაა?!

— ვა, იქნება ჩემი ვინმეა იქა, კაცო!

— მაშ შენ წადი, მე არც ცოლი მყამს, არც შვილი და არც არავინ მომიკვდებოდა!

— მერე და ვინ წაიღო ფულები?

— ვინა და? ვინც ყველაზე გულადი იყო?!

— მაშ, აფერუმ! საქულჯან!!..

— აზბანდარუ მ! დარჩოჯან!!..

— აფერუმ! აზბანდარუმ! ეგ არი თქვენმა სიცოცხლემ, რაღა? თქვე გამოჩერჩეტეპულებო, ერთი ეს მითხარით, მოუტინა თუ არა სარგებლობა ხალხს მაგ სისულელემ?! აგერა, სისხლის გუბეები დგას! მთელი ქალაქი შიშის ზარმა შეიპყრო! ამას მოყვება ჩხრეკა, დარბევა, დაწიოკება და უმთავრესათ კი—საუკუნოებით შედგენილთ გეგმა ხალხის განთავისუფლების მიზნისა, რამდენიმე წლით უკან წაიწევს და დამფრთხალი ხალხი ზურგს აქცევს წმიდა და პატიოსანს შრომას! აი, რა სარგებლობა მოუტანა დღევანდელმა ექსპროპრიაციამ ხალხის მასას! ყველაზე უფრო საგულსხმიერო ის არის, რომ თვით შეგნებული ელემეტებიც კი მიბაძავენ ამის მაგალითს და მაშინ? მაშინ კი... მშვიდობით სოციალიზმის გზა! და უნდა აღგილი დაეთმოს სრულ ანარხიას; არა, ძამიავ! ეს მოსაწონი საქმე არ იყო და არც შემიძლია მე ის ვაქო!

— ნეტა, რას როტავს, კაცო? აქ რა დროს ფილოსოფიებია ეეე! ბიჭო! ორას ორმოცდა ათი ათასი მანათი წაიღეს, კაცო!

მიმინო.

პროვინცია.

წერილი შორაპნიდან.

კოწია შორაპნელის სახელი და მოღვაწეობა ამ რეაქციის დროს ისე განთქმულია მთელ რუსეთის იმპერიის სივრცეზე, რომ ციმბირიდან იქ გაგზავნილებს დეპუტაცია გამოუგზავნია*) უღრმესი მადლობის გადასახდელად. საქმე ისაა, რომ ოქტომბრის აჯეულობის დროს ბევრი ახალ-გაზრდა თავი შაიქნა საბუდარი ისეთი აზრების, რომ ცივი ქვეყნებისკენ გამგზავრება უმახლობელესი მათი მიზანი იყო (როგორც ეს აიხსნა მერე). ამ ახალგაზრდებს საშუალება კი არ წყალობდა ამ მიზნის მისახწევად. აქ ჩაერია საქმეში, კოწია შორაპნელი. მისი განზრახვა იყო, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გაესტუმრებინა ციმბირისკენ. ამიტომაც მან დიდი ხრიკი იხმარა: მოუყრიდა სოფლის საზოგადოებას თავს, დაადგენინებდა „პრიგოვორს“ და, ჰაიდე!.. რომ რომელიმე საზოგადოებას მისთვის გზა არ გადაეღობა, იგი ორ-სამ კაცს, რასაკვირველია, სოფლის გაიძვერა ხულიგანს დააკურთხებდა და იმათ დაძახილს ყრილობაც ვეღარ გაუბედავდა განზე გადგომას.

თუ ამითაც ვერ მიაწევდა შორაპნელი კოწია მიზანს, მაშინ პირდაპირ პოლიციის მათრახებს მიმართავდა. ერთობ ადვილად ახერხებდა ადმინისტრატიულ საშუალებით ახალ-გაზრდების ციმბირისკენ გამგზავრებას. იყო შემთხვევა, რომ რეაქცია რომელიმე ახალ-გაზრდას გამოუდენიდა თავიდან ციე ქვეყნებისკენ გამგზავრებას, მაშინ შორაპნელი კოწია იმას აქ დარჩენისათვის ასე ათ—ოც თუმანს ამოწაპნიდა და... ერთი სიტყვით შემოსავლის წყაროც გაიჩინა... მის გულთმოდგინებას ზომა და ანგარიში არ ჰქონდა და რაღა თქმა უნდა ციმბირლებმაც არ დაივიწყეს მისი ღვაწლი და ამაგი. დეპუტაციას თან წამოუღია მის საჩუქრად ყინულის მენდალი, რომელზედაც ხატია გაცოფებული თეთრი დათვი. ასეთი დიდებული საქმე და ასეთი სახელოვანი პირი ღღესამდი დავიწყებული იყო და აღტაცებით ვამხელთ მთელ ქვეყანას, რომ მისი სახელი აღსდგა მკვდრეთით საშვილიშვილო სანახსოვროდ.

შორაპნელი ახალ-გაზრდობა.

*) წაკითხული გექნებათ, პატივცემულო მკითხველო; მასხარის პირველ ნომერში დაბეჭდილი დეპეშები ციმბირის დეპუტაციის შესახებ.

ღუმა და ხალხი.

გაზეთ „რუს“ ოდესიდგან დეპეშით ატყობინებენ: ღღეს ჭუჭაზედ ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრები ჩხრეკავენ სუყველას ვისაც შავი ბლუზები აცვიათ, რადგან მათმა გაზეთმა, გამოაცხადა რომ, შავ პერანგიანები—რევოლიუციონერები არიანო. გრაფმა კონოვაცინმა ხელის მოწერა გამართა თავის გაზეთში სამხრეთ რუსეთში მომავალ არჩევნებისთვის აგიტატორის გასაგზავნად. გახშირებული ჩხრეკა და დაპატიმრება გახშირებულია სოფლადაც, აუარებელი გლეხები ჩამოყავთ დაპატიმრებულნი. ადესის სადგურზედ მოვიდა დამსჯელი რაზმის მატარებელი, ელიან რკინის გზაზე გაფიცვას.

ამავე გაზეთს რიგიდგან ატყობინებენ: ღუმის დათხოვნის შემდეგ ქალაქში აუარებელი ხალხი იქნა დაპატიმრებული უმეტესობა, სტუდენტები და ინტელიგენტებია.

სევასტოპოლიდგან იტყობინებიან. სამხედრო გემზედ ფლოტის კონდუქტორი მოკლეს ჯაშუშობისათვის.

სიმფეროპოლიდგან იტყობინებიან — გუბერნატორმა მოიწვია „იუჟნი ვედომოსტის“ რედაქტორი და წინადადება მისცა გაზეთის მიმართულება შეეცვალა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი დაკეტილ იქნებაო, ღღევანდელი ნომერი გაზეთისა აღკრძალეს.

იალტიდგან—ღუმის დათხოვნის შემდეგ გახშირებულია ჩხრეკა და დაპატიმრებაა, აუარებელი ხალხი იგზავნება ეტაფით.

მღვდელი ვასილევი იტყობინება კიდევ შემდეგს მიტროპოლიტ ანტონის შესახებ. („რუსი“ № 146). ყოვლად უსამღვ. უქადაგნია რომ, კონსტიტუცია ჩვენ რუსეთში სრულებით არა გვაქვს, ჩვენ გვყავს განუსაზღვრელი უფლების მქონე მონარქი რომელსაც კონსტიტუციაზე არავითარი ფიცი არ მიუღია, და რაც 17 ოქტომბერს გამოიცა მანიფესტი შეიძლება ყველა გაუქმებულ იქნას, ღუმა დროებითი საშუალებაა, ღუმაზედ დამყარება—იმედის ქონა შეუძლებელია. ღუმას ამ მოკლე ხანში გარეკონო. ეს უკანასკნელი სიტყვები, რომ უთქვამს მოწიწებით პირსჯვარი გამოუსახამს და უთქვამს. (ჩემი მხურვალე ნატერაც ეს არისო).

ღუმის დათხოვნის შემდეგ ტავრიდის სასახლესთან ყოფილი დეპუტატი შეხვდა ერთ ჩინოვნიკს, რომელიც ყოველთვის დეპუტატებს თვალ ყურს ადევნებდა.

— როგორ მეცოდება საწყალი წერეთელი!

— თქვენ ვის იცოდეებთ გულ მოსული ეკითხება მემარცხენე დეპუტატი.

— წერეთელს, ჭკუიან, ყოჩაღი ნიჭიერი კაცი იყო.

— თქვენ მას თვალ ყურს ადევნებდით?

— როგორ?!! ისე შორი ახლო ვიცნობდით მე ძრიელ მომწონდა „ნოვოე ვრემიაც“ კი წუხს წაიკითხეთ დღეანდელი №.

— ჩვენ გიცნობთ: თქვენი თვალ ყურის დევნა ჩვენზედ ჩვენ გვესმის..:

მიუხედავათ იმისა რომ დეპუტატმა ეს უკანასკნელი სიტყვები ძრიელ ცხარეთ წარმოთქვა, ჩინოვნიკმა მაინც ფრთხილათ კითხა:

— არ იცით სად არის ოზოლი და სალტიკოვი?

დეპუტატი ზურგს შეაქცევს ჩინოვნიკს და გაბრუნდება.

———

პეტერბურგში დიდი მითქმა მოთქმაა, კადეტების ვიზიტის გამც სტოლიპინთან. როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ დუმის დათხოვამდის ”ესე იგი $1^1/_2$ ნახევრამდის სანამ დუმის დათხოვნის შესახებ მანიფესტი დაიბეჭდებოდა; სტოლიპინთან მისულან კადეტების ლიდერები; ს. ბულგაკოვი, ვ. მაკლაკოვი, პ. სტრუვე და ჩელნიაკოვი.—ეს პირები როგორც გამოირკვა წასულან თავიანთი ნებით ე. ი, კადეტების კომიტეტის დაუკითხავათ, რაზედ ჰქონიათ ლაპარაკი ჯერეთ გამორკვეული არ არი. ხოლოთ ის კი გამოირკვა რომ ამისთანა ვიზიტები ხშირად ყოფილა, სტოლიპინთან. მაგრამ კადეტების ცდამ რომ დუმა შეენახათ ვერ მიაღწია მიზანს.

———

„მოსკოვის ვედომოსტი“ სწერს: საჭიროა ახლა (დუმის გარეკვის შემდეგ) კრამოლა ძირიან ფესვიანად აღმოიფხვრას. 1 ენკენისთვისთვის შეიძლება არც კი მოესწროს რუსეთს დამშვიდება ტეროროისტულ აქტს და ექსპროპრიაციებს ბოლო არ ეღება, ამიტომ მოსალოდნელია რომ გაისმება ხმები, არჩევნების გადადების შესახებ იქამდის—სანამ რუსეთი სრულებით არ დამშვიდდება...

გაზეთის აზრით საჭიროა 50,000 კაცი დახჩობილ იქნას, 100,000 კატორღაში გაგზავნილი და ამით კრამოლაც მოისპობა. ჯ დუმა შემდეგ იქნება მოწვეული.

———

იალტიდგან დეპეშით ატყობინებენ „რუსკოე სლოვოს“ რომ გენერალ დუმბაძემ, ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მისალოც დეპეშაზედ უპასუხა: მე ჩემის ძანამსახურებით ვდღესასწაულობთ და სამაგიეროთ გილოცამთ „მერზავცული“ დუმის გარეკას. უდიდესი მადლობა მეფეს ბრძნული განკარგულებისათვის.

უ ც ხ ო ე თ ი ს ძ რ ო ნ ი კ ა.

(ვილელმი და ბიულოვი).

ვილგელმი. სწორედ ბედნიერნი ვართ, ბიულოვო! რეიხსტაგის გარეკის შემდეგ რევოლიუციის ქარტეხილს ველოდი. უნდა გამოვტყდე რომ შიშით სული მძერებოდა. ნამდვილად კი დიდებულმა ღმერთმა ისეთივე ბედნიერი ბედი გვარგუნა, როგორც კარლო პირველის პარლამენტის გარეკის შემდეგ. მე მგონი შენც კმაყოფილი ხარ, ბიულოვო, და ისევე ბედნიერად გრძნობ თავს, როგორც ბოკინგემი, ან სტავფორდი!

ბიულოვი. სწორედ გენიოსური შედარებაა, დიდებულო ვილჰელმო! სწორედ რომ მათსავით ბედნიერი ვარ!..

მუხმოდრეკილი ვსთხოვ იმავე დიდებულ ღმერთს და დარწმუნებულიც ვარ, (ამაში თვით ისტორია გვარწმუნებს), რომ ის ბოლომდი მათი ბედით გაგვაბედნიერებს და მაშინ კი **ბედი** ყველა მეფეების და პრემიერებისთვის სანატერელი შეიქნება.

ა.—

ო რ ა თ ო რ ი.

—თუ არ ვცდები, ორი თვეა, რაც ჩვენ გავეცანით ერთმანეთს?

— სრული ჭეშმარიტებაა.

— და უკვე განიზრახეთ ჩემი აშოღლანობა?

— ჰმ... რა მოგახსენოთ... კარგად ვერ გამომირკვევია...

— თუ ასეთი რამე მოგვარდესთ თავში, ამ დღეებშივე გამომიტყდით. მეც ჩაგნუსხავთ ჩემს ჯიბის წიგნაკში. პაემანებისთვის მხოლოდ ოთხშაბათი მაქვს გადადებული— მთელი კვირის განმავლობაში არც ერთი დღე მოცალება არა მაქვს ხოლმე.

— ოთხშაბათი?

— დიაღ.

— არც მე არ შემიძლია თქვენს თაყვანისმცემელთა სიაში ჩაგეწერო—ოთხშაბათობით არც მე მცალია...

— პაემნების გამო?

— მიხვდით, მიხვდით... პაემანი... მაგრამ რა მშვენიერ არსებასთან იცით?

— მაშინ მე შემიძლია...

— ჰო, რა?..

— ჩაგწერთ ორშაბათის პირველ კანდიტატად... რას იტყვით?...

ღ ა ტ ა კ ი.

„სუდებნი პალატის“ პროკურორის კაბინეტში შეიჭრა ერთი რიგიანათ ჩაუმულდახურული, ხნიერი კაცი.

—ბატონო პროკურორო! ერთი საქმისთვის გიახელით. შეგიძლიათ, რამოდენიმე წამი მაჩუქოთ?

— დაბრძანდით... გვიბრძანეთ...

— ამინსტიისთვის გიახელით...

— ამინსტიისთვის?!

— დიაღ. ნუ რა გიკვირსთ-რა. თუმც, არაკეთილი ბრალი არ მომიძღვის კანონის წინაშე, მაგრამ... მაინც მომისაჯეს „კატორგა“...

— არ მესმის...

— ახლავე აგიხსნით... მონიჭებული ამინსტიის მეოხებით ციხეები დაცარიელდენ. არ შეიძლება ერთ-ერთ კამერაში ჩამაბრძანოთ ორი ან სამი წლით?

— მომიტეეეთ... ავათ ხომ არ ბრძანდებით? ნუკი გამიწყრებით და ამ არეულობის ხანაში ბევრის ტვინი შეირყა.

— ეეე... არა... მე სრული ჯან-საღი გახლავართ. მენდეთ. მაგრამ ჩემდა საუბედურად მე ცოლშვილიანი ძაცი ვარ. ოთძი გათხოვილი ქლაი მყავს, სიდედრი ისეთი, ისეთი რომ... ოცდა ორი წლის განმავლობაში ოჯახურ კატორგაში ვიმყოფები. შემიწყალეთ: გადამიყვანეთ საოჯახო კატორგიდან ციხის კამერაში! ნუთუ თავისუფლების ერთი სხივი მაინც არ შემეხება?!..

ქ ა ლ ი ს ლ ო გ ი კ ა.

ქმარი. მიიღებს ცოლისაგან ერთ სტაქან ჩაის.

—ჩემო კარგო ამ ჩაიში ამ ტარაკანს რა უნდა.

ცოლი. (იყურება სტაქანში) როგორ არ გრცხვენიათ რომ აგრე უსირცხვილოთ სტყუით, აბა მაჩვენეთ სად ხედავთ ტარაკანს.

— არ შეშვენის დიასახლის ასე უწმინდურათ შეინახოს ჩაის ავეჯოულობა.

ცოლი—ღმერთო ჩემო! ყოველთვის უსამართლობაა, ყოველთვის, ტყვილი ბრალდება, ყოველთვის ახირება! აბა ეს ტარაკანია, როგორ სირცხვილი არ არის ასე ტყვილის თქმა! ეს უბრალო ბუზია და მეტი არაფერი.

———

ვაცხადებ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ მე რეაქციის გაძლიერების შემწეობით შევისწავლე ადგილი საშვალებანი, რომელიც ყველა პროფესიის ხაზეინებს გამოადგებათ, თუ მუშებმა ხაზეინები შეაწუხეს თავის მოთხოვნილებების წამოყენებით ხაზენები უნდა ეცადონ მუშებს სუდში უჩივლონ, უკიდურეს შემთხვევაში სამედიატორო სამართალში მაინც. აი ამ სასამართლოში გაიგებენ ვინ არიან მოთავეები და, თუ საქმე არ გადაწყდა მათ სასარგებლოთ, ჩაიწერენ მათ სახელს და გვარს და წარუდგენენ გუბერნატორს! ხოლო ამას რა მოყვება ეს ყვე-



პ. სტრუვე! აახ! ჩემო უდროოთ გაცრუებულო, ტკბილო იმედებო!!..

სამხედრო მინისტრი დეპუტატ ზურაბიანცის ინციდენტის შემდეგ.

ლამ კარგათ იცის, ესე იგი ვიატსკი გუბერნიაში ამოაყოფიებს თავს და თუ ვინმე შეგეკითხათ ხაზეინებს და გითხრათ რათ დაიპეზღეთო, უპასუხეთ სუდმა დაიბეზღა; ჩვენ დამნაშავენი არა ვართ, ხოლო თუ რომელიმე ხაზეინმა, ვინც ვერ მოახერხოს ზემო ნახსენები საშვალებანი, —მომართეთ მე და საკუთარი კომისიონერის დახმარებით მშვენიერათ შეგისრულებთ

თქვენ გულის წადილს, ჩემი ნახვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირისა დილის 11. ს—გან საღამოს 8 საათამდის.

ჩემი ადრესი თფილისში გოლოვინსკი პროსპ. 1-ლ. კავკასიის საპარაკმახეროში—

დათიკო.

გ ა ა ქ ვ რ ი თ.

სიმართლემ კუდი მოსწვა სასაცილო დონკიხოტს — „სპერანზას“ და თვისი ბუდე-დარბაზიდან „ვიევსკა—ტიფლისკი ლისტოკიდგან“ ერთი გამწარებული შერხევით სულ ნაცარტუტა ააბოლა. „Какой-то“ მაკლერს ებრძვის თვისი დაჯანგულ და დაბლაგვებულ მამა-პაპურ იარაღით. ის კი ვერ გაუგია, რომ მეპორეობის გუდა ძველებურად ველარ უპუპუყუნობს და „Какой-то“ს თქმას დღეს მხოლოდ ის იკადრებს და აღარავინ სხვა. ვაი თუ მართლა ის ჩადის „ლიტერატურულ მაკლერობას“ კერძო განწყობილებისთვის და მეგობრობისთვის უკანტროლოდ. იცის „სპერანზამ“, რომ ის გახდა თავღია და ცარიელი ჭური ბატონი „მონასი,“ რომ მან და „მონამ“ ჩაიდინეს (ადვილი შესაძლებელია უნებლიედაც) „ლიტერატურული შანტაჟისტობა,“ რასაც ასე დაუკვირვებლად სხვას აპრალებენ? იცის მან, რომ ბატონმა მონამ და მანაც ლიტერატურული ეთიკა გადალახეს და სულ-მდაბლობით გამოამჟღავნეს ესევდონიმი? ძალიან ლამაზი იქნება, რომ იმათაც ახადონ ნიღაბი? იგინი იმდენს ეცდებიან, თითვან გამოვლიან შიშველნი ქუჩაში... ინებონ! ჩვენ კი არ მივსცემთ ჩვენს თავს ამის ნებას· ნუ ხტიან ფეხებ დამწვარებივით! Какой-то.

„მასხარას“ ფოშტა.

ოზურგეთში. გ. დ. ჩვენი რედაქტორი თუ არ გებრალებათ თქვენი თავი მაინც შეიბრალეთ —ეგ რომ დავბეჭდოთ ცოცხალი თუ გადავრჩით კატორღას მაინც ვერ ავშორდებით.

ქუთაისში. № 25. მაგისთანა სასაცილო ამბებს ვერ დავბეჭდავთ სახეში უნდა მიიღოთ დღევანდელი მომენტი. —

ჭიათურაში.— პავლეს— ბანკი ისეთი დაწესებულება არის რომ მაზედ ოხუნჯობას შეიძლება ცუდი შედეგი მოყვეს; ამიტომ ვერ ვბეჭდავთ. მთხოვთ სხვა მასალა მოგვაწოდოთ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ახალი ელექტრომბეჭდავი სტამბა

ამხ. **სორაპანი**

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს დაკლებულ ფასებში.

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზედ კნ. მუხრანსკის სახლში № 1.

რედ. გამომცემელი კ. ვენეცკი.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“ მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა, № 1.